

შ.პ.ს. „ლაზიერი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

Contents

1. ზოგადი ინფორმაცია.....	3
1.1 საქართველოს ბიზნეს გარემო.....	3
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	3
3. საადრიცხვო პოლიტიკა	4
3.1 ფუნქციონირებადი საწარმო	4
3.2 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	4
3.3 შეფასებისა და მსგელობების გამოყენება	5
3.4 საწესდებო კაპიტალი	5
3.5 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	5
3.6 ძირითადი საშუალებები.....	5
3.7 არამატერიალური აქტივები.....	6
3.8 მარაგები.....	6
3.9 აქტივების გაუფასურება.....	6
3.10 ფინანსური აქტივები	6
3.11 ფინანსური ვალდებულებები	7
3.12 ამონაგები.....	7
3.13 ხარჯები	8
3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	8
3.15 ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება.....	8
3.16 მოგების გადასახადი	8
3.17 დივიდენდი	9
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება.....	9
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
ვალდებულებები	10
საკუთარი კაპიტალი.....	11
საქმიანობის შედეგები	12
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	13
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	14
ფულადი სახსრების მოძრაობა	14

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლაზიერი: (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნებულია „ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად 2013 წლის 23 ივლისს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ფეიქართა 12.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, ფეიქართა 12.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 406099109

კომპანია წარმოადგენს საქართველოში არსებულ ბრენდს, რომელიც 2013 წლიდან ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებულ ავეჯს ქმნის როგორც კორპორატიული კლიენტებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის. კომპანიას ხუთასზე მეტი პროექტი აქვს, რომელიც წარმატებულად ემსახურება მრავალ მსხვილ კომპანიას საჯარო თუ კერძო სექტორებში.

კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ავთანდილ ჯანგაძე (პ/ნ 53001005532), რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

1.1 საქართველოს ბიზნეს გარემო

შპს ლაზიერის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად კომპანიაზე მოქმედებს საქართველოში არსებული როგორც ეკონომიკური, ასევე ფინანსური ბაზრის ფაქტორები, რომელიც დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრისთვის. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები მუდმივად განაგრძობენ განვითარებას, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის წარმოქმნის გარკვეულ გამოწვევებს და ბარიერებს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფაასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 25 თებერვალს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. საადრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკა. საადრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საწარმოს შიდა სტანდარტების გათვალისწინებით.

3.1 ფუნქციონირებადი საწარმო

არსებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს საქმიანობის პროცესის განხორციელებას რეგულარულად აქტივების მიწოდებისა და ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულების გზით.

მპს ლაზიერი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მომგებიანი, ასევე მომგებიანი იყო გასულ წლებშიც. საწარმოში არსებული რესურსიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის ფუნქციონირებისა და მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის ფუნქციონირებადობას:

კომპანია არის მომგებიანი, მოცემულ საანგარიშგებო პერიოდებში.

კომპანიას ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული აქვს ფულადი სახსრები, რითაც შეძლებს სამომავლოდ საქმიანობის გაგრძელებას.

კომპანია უშვებს, რომ საწარმო მომავალშიც შეინარჩუნოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი და მოახდენს შესაბამის რეალიზაციას და ვალდებულების დაფარვას.

3.2 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

მპს ლაზიერი ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე, აქედან გამომდინარე სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი („ლარი - GEL“). ფინანსური ანგარიშგების წარდგენისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი. ანგარიშგებაში ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. წარმოქმნილი საკურსო სხვაობები და უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული მოგება-ზარალი აღიარდება როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია, უცხოური ვალუტის მოძრაობები მოგების პოზიციაშია თუ ზარალის და შემდგომ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 31.12.2022	2.6894	2.9753

3.3 შეფასებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი შეფასებების, მსჯელობებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, შემოსავლების, ხარჯებისა და ვალდებულებების თანხის ოდენობაზე.

ზემოთ აღნიშნული შეფასებები, მსჯელობები და დაშვებები არის მუდმივად გადახედვადი. გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელ პერიოდშიც მოხდა გადახედვა.

3.4 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით დაფუძნების მომენტში არის განსაზღვრული და შემდგომ პერიოდში არ შეცვლილა.

3.5 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაყვანილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობული სხვაობა აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.6 ძირითადი საშუალებები

შპს ლაზიერი ძირითადი საშუალებების აღიარებისას იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ღირებულებას, რომელსაც ემაყება ტრანსპორტირების და ინსტალაციის დანახარჯები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (არსებობის შემთხვევაში).

შპს ლაზიერი ცვეთის საანგარიშოდ იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რომელიც გულისხმობს ცვეთის დარიცხვას სავარაუდო სასარგებლო მომსახურების თვეების პროპორციულად. ძირითად საშუალებებზე ხდება დარიცხვა მისი საშუაო მდგომარეობის მოყვანის მომენტიდან. ცვეთის თანხა აღიარდება საერთო და აღმინისტრაციულ ხარჯებში, რომელიც თავს იყრის მოგება-ზარალის უწყისში. კომპანიას ძირითად საშუალებებზე არ აქვს გაანგარიშებული სალიკვიდაციო ღირებულება.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები პერიოდულად გადაიხედება კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა

ხდება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც ემყარება წარსულ გამოცდილებას და მსგავსი ფუნქციონალური დანიშნულების აქტივის გამოყენებას.

ძირითადი საშუალების განახლება შეკეთებისთვის გადახდილი თანხები, რომელიც გაწეულია ძირითადი საშუალების მიმდინარე რემონტის ფარგლებში კომპანიის მხრიდან აღიარდება მიმდინარე ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლება კაპიტალიზირდება ჩანაცვლებული ნაწილი კი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში თუ მოხდა კონკრეტული ძირითადი საშუალების რეალიზაცია ან შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გასვლისას სხვაობის გათვალისწინებით განისაზღვრება მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი ან სხვა ხარჯი.

3.7 არამატერიალური აქტივები

კომპანიისათვის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს კომპიუტერული (საბუღალტრო - ORIS, SAP. საპროექტო - BAZIS) და უზრუნველყოფა და ვებ გვერდი, რომელიც აღიარებულია თვითღირებულების მოდელით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის შესაბამისი ვადის შესაბამისად. სასარგებლო ვადებს განსაზღვრავს კომპანიის ხელმძღვანელობა.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება თუ მოხდა არამატერიალური აქტივის რეალიზაცია ან შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივის გასვლისას სხვაობის გათვალისწინებით განისაზღვრება მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი ან ხარჯი.

3.8 მარაგები

მარაგების აღიარება ხდება მისი შეძენის თვითღირებულები კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, ძირითად შემთხვევაში ხდება ნედლეულის შეძენა, რომელიც გადადის დაუმთავრებელ წარმოებაში, შემდგომ კი რეალიზდება როგორც მზა პროდუქცია.

3.9 აქტივების გაუფასურება

კომპანია ძირითად საშუალებებზე არ იენებს გადაფასების მეთოდს და ცვეთის დარიცხვა ხდება თავდაპირველი ღირებულებიდან.

3.10 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე. ფინანსურ აქტივებში მოიაზრება: ფულადი სახსრები, ფულადი სახსრების ექვივალენტები, საავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულს საბანკო ანგარიშზე..

სავაჭრო მოთხოვნები კომპანიის მხრიდან თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება არსებული მოთხოვნების ანალიზი, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა დადასტურებული ფაქტები იმისა, რომ დებიტორული დავალიანება ვადაგადაცილებული ან ამოუღებელია. ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოხდება გაუფასურების ზარალის დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში აღიარება.

სხვა მოთხოვნების (გადახდილ ავანსები) აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე არ გადაფასდება.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას თუ:

ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია.

საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

3.11 ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის:

კრედიტორული დავალიანება;

მიღებული სესხი სხვა კომპანიებისგან, ასევე საბანკო სესხი.

კომპანია ფინანსურ სავაჭრო ვალდებულებას აღიარებს, როდესაც იგი ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. თავდაპირველად ფინანსური ვალდებულება აღიარდება გარიგების ფასით.

საბანკო სასესხო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები გაწევის მომენტშივე აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიის მხრიდან ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ვალდებულება დაიფარა, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.12 ამონაგები

კომპანიისთვის ამონაგებს წარმოადგენს პროდუქციის მიწოდებით მიღებული შემოსავალი.

ამონაგები აღიარდება როდესაც:

მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა.

შესაძლოა ამონაგების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების აღიარებისას გაითვალისწინება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი დღგ.

3.13 ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც წარმოიქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

კომპანიის დაქირავებული პირების წინაშე წარმოეშევა ვალდებულება გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება, დაქირავებული პირის მიერ გაწეული შრომითი საქმიანობის სანაცვლოდ. კომპანიას ასევე წარმოეშევა ვალდებულება დაქირავებულ პირებზე გადახდილი ანაზღაურების შესაბამისად მოახდინოს ბიუჯეტში შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის ანგარიშსწორება.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები კომპანიის მხრიდან აღიარდება, როგორც ვალდებულება თანამშრომლების წინაშე და ასევე გაწევის საანგარიშგებო თვეს აღიარდება როგორც ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.15 ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგები წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

ხარჯები აღიარდება გაწევის მომენტში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.16 მოგების გადასახადი

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდზე იურიდიული პირები არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი მანამ, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან განაწილებულად მიჩნევა.

მოგების გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილი ვალდებულება, რომელიც კომპანიისთვის წარმოადგენს ხარჯს. მოგების გადასახადის გაანგარიშება და ანგარიშსწორება ხორციელდება მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

3.17 დივიდენდი

კომპანიაში დივიდენდის გამოცხადების შემდეგ ხდება კაპიტალის შემცირება და იგი აღიარდება როგორც ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული და გაცემული საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის მხრიდან წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომების და მისი გავლენების შესწორება ხდება შესაძლებლობის ფარგლებში რეტროსპექტულად, გამოსაყენებლად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-12-22	31-12-21	31-12-20
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27714	18441	60546
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	478342	311357	289878
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	314958	250809	258673
მარაგები	484695	1175135	741142
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	1175135	741142
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0

დირექტორი: ავთანდილ ჯანგაგაძე

სხვა არამატერიალური აქტივები	43022	43022	43022
ძირითადი საშუალებები	1256282	1410194	1547505
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	263	263	263
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	134528	103872	68738
სავაჭრო ვალდებულებები	276915	146817	198499
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	30	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	45045	41255	8561
გამოუმუშავებელი შემოსავალი	321101	972733	859487
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	192869	198926	248544
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1074246	1322843	1415083
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	30186	16540	85423
სულ ვალდებულებები	2802986	2802986	2884335

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') საემისიო შემოსავალი	2000	2000	2000
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	0	0	0
	528356	404235	54694
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	530356	406235	56694
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2605276	3209221	2941029
სულ მოკლევადიანი აქტივები	1280094	1755741	1350239
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	944874	1463603	1383830

საქმიანობის შედეგები

	31-12-21	31-12-21
ნეტო ამონაგები	5042320	3967905
საქონლის გაყიდვიდან	4779234	3483429
მომსახურების გაწვიდან	263086	484476
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2877498	-1512382
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2164822	245523
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19110	11526
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1265102	-1254369
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-172779	-187215

დირექტორი: ავთანდილ ჯანგავაძე

საპროცენტო შემოსავალი	16172	16172
საპროცენტო ხარჯი	-161152	-225328
იჯარის ხარჯი	-289731	-284508
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-187219	-182260
სულ საოპერაციო ხარჯები	-2040701	-2105982
საოპერაციო მოგება	124121	349541
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	124121	349541
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	124121	349541

დირექტორი: ავთანდილ ჯანგაძე

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	124121	349541
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	406235	56694
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	530356	406235
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0

დირექტორი: ავთანდილ ჯანგაგაძე

საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	0	0
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	18441	60546
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	0	0



დირექტორი: ავთანდილ ჯანგაძე